

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მურან ბაკონის სახლი. ქულების ქვეშ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეუკვეთებისათვის ადრესი: В. Тифлис, П. редакцию «Дროбы»

«დროების» ფასი მთლიან წლით . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან. ექვსის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.

დროება

ფასი განცხადებისა

სკრიპონზე რვა კაპ. განცხადებულ მთელი წელიწადის, რუსულს და სხვა ენებზე. მისი მოთხოვნის თუ საქმიანობის მოთხოვნის, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასახელებად გამოგზავნილ წერილებს. დატვირთვად წერილებს რედაქცია ვერ დაუბუნებს ავტორს.

გამოდის ყოველ დღე ორ შაბათს გარდა.

წამყვანი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა კა-სეთ

„დროებაზე“

პირველის აგვისტოდამ წლის დაძლევაზე. ფასი ოთხი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისს-თვის სამი მანათი.

«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღა-ზიაში,

ბათუმში, ფეიქროვის თამ-ბაქოს მაღაზიაში,

დუშეთში, კაბო ბაშაროვ-თან.

გორში, სასოგადოების დე-პოში, ალალო თუთაყვთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

ტელეგრაფი

(ჩრდილოეთის სააგენტოსი.)

16 აგვისტოს.

კეტიბაშვილი. მათი იმპერატო-რებითი დიდებულებანი უავგუს-ტოესი შვილებითურთ რამოდენ-სამე ხანს დაჰყოფენ ხელმწიფას მშობლებთან; მათ დიდებულებათ დანიში თან ეახლნენ ჭილაძე-ადიუტანტები ობოლენსკი და ოლსუფიევი და გრაფინები გო-ლენიშჩევი—გუტუხოვები.

გაზეთები იწერებიან, რომ 15 სექტემბრიდან შეტერბურდში გა-იხსნება ახალი სამხედრო სასწავ-ლებელი—სამხედრო საკონდუქ-ტორთ კლასები, სადაც მიიღე-ბიან პირველის და მეორის რი-გის ნებაყოფლობით განწესებულ-ნი და მთავარი საინჟინერო მმარ-თველობის სამხედრო კონდუქტო-რები, რომელთაც ორის წლის კურსის შემდეგ ოფიცრობას მის-ცემენ.

ლონდონი. იავას ახლო, კენ-ძელზე კრატაზე მოხდა საშინე-ლი ვულკანური ადამხეთქა და გრგვინვა დიდს სიგრძეზე ისმოდა; სინათლე შორიდან მოჩანდა.

კუშანი. ზაგორიში, ხორვატია-ში, გლეხების აჯანყება მოხდა, იმათ დაგლიჯეს გერბები, რომ-ლეზუდაც ვენგრის გვირგვინები იყო გამოხატული; როდესაც ამ-შვიდებდნენ, ჩხუბი მოხდა და რამ-დენიმე კაცი მოკვდა და დაიჭრა;

ზაგრებიდამ ჯარები გაგზავნეს, რომ უწესობები აღარ მოხდეს. გუშინ ვიჩენიცაში ხორვატიის სამზღვარს ახლო, ებრაელების წინააღმდეგ უწესობები მოხდა; ებრაელების სახლები გაცარკვეს.

მანა. რუმინის მეფემ უბოძა ავსტრიის გარეშე საქმეთა მი-ნისტრს რუმინის ვარსკვლავი პირველის ხარისხისა.

პარიში. კერძო ცნობებია ანა-მიდამ, რომ მეფემ გამოუცხადა მორჩილება საფრანგეთის წარ-მომადგენელს, რომელმაც მოსთ-ხოვა გადახდა ომის დანახარჯისა და ამის გადახდამდე ჭორტების დაჭერა.

შანიშნა

სოფლის თვით-მმართველობაზე.

ჩვენს მწერლობაში ხშირად ყოფი-ლა სჯა საზოგადოდ თვით-მმართვე-ლობაზე და განსაკუთრებით ჩვენს სასოფლო თვით-მმართველობაზე. ეს საკვირველიც არ არის. აწინდელი საქართველოს მდგომარეობაში თვით-მმართველობა წარმოადგენს მხო-ლოდობის დაწესებულებას, რომელ-შიაც ხალხის თავისუფალი მოქმედე-ბა, თავისობა უნდა ჰპოვედეს და-კმაყოფილებას და ეს იმიტომ, რომ თვით-მმართველობა ყოფილა და კი-დეც უნდა იყოს პოლიტიკური სვლა-ხალხის განვითარებისათვის, მისი წარ-მატებისათვის. მართალია, ეხლა ეს დაწესებულება მოშორებული და მოკ-ლებულია ძალ-ღონეს თავის დანიშ-ნულების შესასრულებლად და ამას თავისი მიზეზები აქვს, მაგრამ მომა-ვალში განიერულად გაწყობილი თვით-მმართველობა შეიქმნება მძლავრ საშუალებათ, იარაღთ, რომელიც ერს დააყენებს წარმატების გზაზე. სა-ჭიროა მხოლოდ მოისპოს ის მიზეზებ, რომელიც გადაჭლობებიან თვით-მმართველობას გზაზე და უშლიან მას თავის მიზნის შესრულებას. შრიად საყურადღებოა ის საყოველთაოდ ცნობილი მოვლენა, რომ მთავრო-ბამაც კი შეიგნო თვით-მმართველო-ბის შემადგენელი ზოგიერთა მი-ზეზნი და იცნო საჭიროთ მათი მოს-პობა. საზოგადოდ მთავრობას რომ თავი დაეანებოთ და მმართველობის ორღანოები აეიღოთ, აქაც ერთსა და იმავე მოვლენას შევხვდებით,—აქაც განათლებულნი მოხელენი ცხადად ჰხედვენ, რომ ბევრი რამე უშლის ჩენი თვით-მმართველობის აღორძი-ნებას. ჩენის აზრით, მწერლობის აწინდელი მდგომარეობა ნებას არ აძლევს კაცს პირუთნევილად და

ერცლად უჩენოს მკითხველებს—თუ რა მიზეზებმა შეაფერხეს ჩენი თვით-მმართველობა და ფრთები მოჰკვეცეს მას. მკანებთ კი, რომ ზოგიერთა მიზეზების დასახელება შესაძლო იყოს. ამ ჟამად ჩვენც მართლ ესა გვაქვს საზეში.

ზანსაკუთრებით ბორის მაზრაზე რომ ითქვას, სწორედ მარჯვე დროა თვით-მმართველობაზე ლაპარაკისა; «დროებაში» მოხსენებული იყო, რომ ბორის მაზრის უფროსი მოგზაურობს თავის მაზრის სხვა-და-სხვა კუთხეებში და იკვლევს ხალხის მდგომარეობას, მაზრის მცხოვრებლების ტკივილს, გა-საკირს. ეს საღმრთო მოვალეობაა მაზრის უფროსისა და ჩვენ დარწმუ-ნებული ვართ, რომ ენერგიული მოღვაწე თ. ა. ამილახვარი შეიგნებს იმ საშუალებებსაც, რომელთაც შეუძ-ლიანთ ცოტათ თუ ბევრათ შეუმსუ-ბუქონ ხალხს მისი არა-სანატრელი მდგომარეობა.

პირველი, რაც გავიჩინებთ, რაცა აკვირდებით ჩენი სოფლების თვით-მმართველობას, განლაეთ ის სამწუ-ხარო მოვლენა, რომ ყველა მოხე-ლვე, ყველა წარმომადგენელი ჩენის თვით-მმართველობისა მოკლებულია თავისობას, თავისუფალს მოქმედე-ბას. . . . დიდი ხანია ჩვენმა მწერლო-ბამ მიაქცია ამ მოვლენას ყურადღე-ბა და აღსნა იგი ჩენი საზოგადო-ბრივი ცხოვრების «ბიუროკრატიული» წეს-წყობილებით. მართლ «ბიურო-კრატიული» წეს-წყობილება აქ უმ-თავრესი მიზეზი, თუ სხვა რამეც (მაგ., სახელმწიფოს ცენტრალიზაციის პრინ-ციპზე აკვებულება), ჩვენ მაინც ჭაქ-ტი ჭაქტად უნდა ვაღვიაროთ და აღწინშნოთ, რომ თვით-მმართველო-ბის წარმომადგენელი მოკლებულნი არიან უმთავრეს ძალას—თავისო-ბას, თავისუფალ მოქმედებას. ამის გა-მო თვით-მმართველობაც თავის აზრს, დანიშნულებას ჰკარგავს და მკედარ დაწესებულებათ ხდება. ჩენის აზრით, უპირველესი მიზეზი, რომელიც ამ მდგომარეობაში აყენებს თვით-მმარ-თველობას და რომლის მოსპობაც შეიძლება კანონის ძალით, არის, სხვა-თა შორის, ოფიციალური კანდიდატუ-რა. მართლაც და—თუმცა სოფლის მოხელეების ამორჩევა, კანონის ძა-ლით, თვით სოფლის მცხოვრებლებ-ზე დამოკიდებული, მაგრამ სინამდვი-ლე სულ სხვას გვიჩვენებს,—ყველგან და ყოველთვის, მოხელეების ამორჩე-ვის დროს, გაჩნირულია . . . ბოქაუ-ლი და ხალხიც იმის მითითებით ირ-ჩევს მოხელე პირთა და თუ სადმე შეხვდებით, რომ ეს ასე არ არის, მხოლოდ იქ, სადაც, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, ბოქაულის ავტორი-

ტეტი არ მოქმედობს. . . . სოფელი გულ-გრილად უყურებს მისდამი მი-ნიჭებულს უფლებას და სრული მონაა მამასახლისისა, თუ სოფლის მსაჯულისა და ესენი კიდევ ერთ-გულნი აღმასრულებელნი სხვის ნე-ბისა, ბძანებისა. რალა საკვირველია, რომ ამის გამო თვით-მმართველობა ისეთს ვიწრო წრეში მოქცეულია, რომ არც ერთს მოთავოსნე და თა-ვისუფლების მოყვარე გვამს ხშირად არა სურს არც მამასახლისობა და არც მსაჯულობა. . . .

ბოქაულის თავისი მიზეზი აქვს—თუ რისათვის უნდა მას ასეთი თუ ისეთი მოხელე. ბოქაული თვითონ მოხელე არის, რომელიც მთელს თავის სი-ცოცხლეს, სამსახურს უფროსების მორჩილებაში ატარებს. იმის სამსა-ხური მოთხოვნა, რომ სოფლის მმარ-თველნიც მას ხელს უწყობდნენ, სრულიად მას ემორჩილებოდნენ. ამისათვის პირველად და უკანაქე-ლად საჭიროა მორჩილი პირი, ისე-თი პირი, რომელიც ბძანების გარედ ვერასა ჰხედავს, და კიდევ ამ გვარი პირებით არის სავეს ჩენი სოფლე-ბის თვით-მმართველობა. . . .

თუ სახეში ვიქონიებთ, რომ თვით-მმართველობას კანონით და უფლებით თავისი სარბიელი აქვს შე-მოზღუდული, თუ არ დავივიწყებთ, რომ მამასახლისი თუ მსაჯული სო-ფლისათვის არიან დაყენებულნი, მა-შინ მიხედვებით, რა ღირს ენებას შე-ადგენს მათი თავისობის და თავის-უფლების შემცირება. . . . ამ მოვლენას ზედ უნდა და უმატოთ მეორეც, არა ნაკლებად მაინებელი თავის შედეგებით. ჩვენ ვამობთ იმ ფაქტურ გაულენაზედ, რომელიც, თვით მმართველობის შე-სახებ, ხელთ უყურით მებატონეებს. როგორც მკითხველსაც ეცოდინება, სოფლის თვით-მმართველობიდან გა-მორიცხულნი არიან მებატონეები, გამორიცხულნი დაწერილის კანონით და არა ცხოვრების, სინამდვილის ძა-ლით. ამას თავის მიზეზები აქვს და მათი დასახელება აქ მეტი იქმნე-ბა. ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მებატონე, ასეთის თუ ისეთის ღონის-ძიებით, ყოველ შემთხვევაში სცდილობს მოხელე პირებათ ისინი იყვენ ამორჩეულნი, რომელიც მას სრულს მორჩილებას გაუწევინ, და მისდა დაუკითხავად საქმეს არ დაიჭე-რენ. იმ სოფელში, სადაც მართლ-ერთი მებატონეა, რომელსაც მოცი-ლე არა ჰყავს, თვით-მმართველობა მთლად მას ხელთ არის, მამასახლისი, მსაჯული, მათი თანაწემწენი და სხვა ორღანოები თვით-მმართველობისა მოქმედებენ, მოძრაობენ მისის ბძანე-ბით. მოხელეების ამორჩევა, მათი

დაყენებაც მასზე არის დამოკიდებული. ხშირად, მეტად ხშირად თვით ბოქაულიც ვერას აწყობს ძლიერი მებატონის წინააღმდეგ და ძალა უნებურად ემორჩილება მას. აქ მარტოკამათლები იცვლებიან, — ერთს შემთხვევაში ბოქაული, მეორეში — ძლიერი მებატონე; თვით-მმართველობას ფეხ-ქვეშ ნიადაგი ეკარგება. ამ სამწუხარო მოვლენას ბოლო მოეღება, სხვათა შორის, მაშინ, როდესაც პირველად მოისპობა აწინდელი დამოკიდებულება გლეხისა მებატონესაგან...

ასე და ამ ევარად ორი უმთავრესი ძალა ებრძვის ეხლა სოფლის თვით-მმართველობას, — ძალა ბიუროკრატიული, პოლიციური და ძალა წოდებრივი, ფეოდალური. თვით-მმართველობა, რომელსაც საძირკვლავთ აქვს სოფლების თავისებობა, პოლიციური და ფეოდალური ძალით არის დაჩაგრული და ვერ ასრულებს თავის წმინდა დანიშნულებას. უხადი უნდა იყოს ისიც, რომ ნაჩვენებ ორ ძალას წინაუძღვის უმთავრესი ძალა, რომელიც მდგომარეობს სახელმწიფო საზოგადო წეს-წყობილებაში (ცენტრალიზაცია, რომელსაც თავისი ისტორიული raison d'être-ი აქვს). ამ ძალის განხილვას ჩვენ ვერ შევუძლებთ სხვა-და-სხვა ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო. მხოლოდ ვიტყვით კი გაკერით, რომ... ზოგიერთნი ჩვენი მწერლები ახსრებულათ გაიძახიან, ვითამ თვით-მმართველობა და ცენტრალიზაცია ერთი ერთმანეთთან ყოველთვის მოთავსებებიან.

შემდეგი იქნება.

შინაური მართობა

ჩვენ გვატყობინებენ, რომ თბილისელი ყასბები მაზანდის მიუხედავად ხორცის ფასს ორს, სამ კოპეკს უმატებენ; მაგალითად, ცხვრის ხორცი, რომელიც ღირს 7 კოპ., ისე იღება 8 ან 9 კოპ. ხშირად საქმე ყასბების და მკიდველების შორის ცემა-ტყეპით თავდება. რა ქნას მკიდველმა, თუ რომ ყასბებს პირობა დაუდევით დამტკიცებული მაზანდა საკუთარის ნებით შესცვალო?

როგორც შევითქვით, თბილისელი ბაყლები შემოღებულ წესდების წინააღმდეგ შეუდღემდე, 12 საათამდე, ყიდულობენ სოფლელებისაგან ხორს და ამით ზარალში შეჰყავთ სოფლელებიც და ქალაქის მცხოვრებნიც. მივაქცევთ ქალაქის გამგეობის და პოლიციის ყურადღებას ზემოთ მოხსენებულ გარემოებებს.

«Кавказ»-ი იწერება, რომ ქალაქის სანიტარულ კომისიას ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებისთვის, რომ მეთუღუბნები წყალს იმისთანა ნაპირებიდან იღებენ, როგორც არის, მაგალითად, მუხრანისა და ხიდის მხლოდღათ და სადაც ტალახი და ყვე-

ლა ნაირი უწმინდურობა გროვდება, და ამისათვის 12 ამთვისას, თავის სხდომაზე, გარდაუწყვეტია სთხოვოს ქალაქის გამგეობას. რომ იმ-ნა გაკეთებინოს თავის ტენიკოსებს იმისთანა მაშინები, რომლებითაც წყალი შიგ შუა მტკერიდამ იღებოდეს და თუღუბნში ისხმებოდეს და ამ გვარად აცდინოს მცხოვრებლები უსუფთაო და ტალახიანი წყლის სმას.

იმავე სხდომაზე ჰქონდა ლაპარაკი სანიტარულ კომისიას იმაზედაც, რომ ხორცი მარტო სალდათის ბაზარში, მარხოვის დუქნებში, ისე იღებოდეს, მაგრამ ეს კითხვა ჯერ არ გადაწყვეტილა.

ამის გარდა კომისიამ დაადგინა ეზოების და სახლების დენინჭეკციის გასაადვილებლად მიანდოს ქალაქის გამგეობას, რომ აზან მოუპოოს კომისიას, რაც შეიძლება იაფად, ის მასლები, რომელნიც დენინჭეკციისთვის საჭირონი არიან.

შარანელი კორესპონდენტი სოფელს წვეიდგან გვწერს, რომ შარანის მაზრაში ამ ქამად ერთობ გავრცელებულია მკითხაების წყლობით და ჩაგონებით გველებსადმი პატივცემა და თითქმის თაყვანისცემა. როგორც კორესპონდენტი გვწერს, იშვიათად შეხედებით სახლს, რომელშიაც მოშინაურებული გველი არ მოიპოვებოდეს; ამ ქვემარომლებს დიდს პატივსაც სცემენ, თითქო ძვირი და მაწყალე სტუმარი იყოს. მკითხავეები არწმუნებენ ხალხს, რომ გველის მომკვლელის ოჯახში მოკლულ ხანში ვინმე უნდა მოკვდესო. მღვდლები, კორესპონდენტის სიტყვით, არავითარ საშუალებას არა ხმა-რობენ ამ მანე ცრუ-მორწმუნეობის მოსასპობლათ, რადგანაც მათი განათლება ბევრათ არ აღემატება ხალხისას. ხსენებული ცრუ-მორწმუნეობა არსებობს საქართველოს სხვა კუთხეებშიაც, მაგრამ თან-და-თან მცირდება; შარანის მაზრაში კი დღითიდღე ძლიერდება.

შარანის მაზრიდან გვწერენ, რომ შიარისის გზა ერთობ ცუდ მდგომარეობაში არისო; მსაქმეთ, რაც ახალი გზის გაყვანას შეუდგენ, ძველი გზა სულ ერთიანათ გფუჭებულია; ახალი კი ვერ მოუთავებიათ; ამ გარემოებას ძალიან შეუწუხებია მაზრის მცხოვრებნი, რომლებსაც თავიანთი მხრით არა დაუკლიათ-რა რიგინი გზის გაკეთებისათვის. შარანელები იმედოვნებენ, რომ ახალი გზებნატორი სპეკულივი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს შიარისის გზას.

სურამიდან გვატყობინებენ, რომ იქაური ძველი ხიდი ერთობ ცუდ მდგომარეობაში იმყოფებო და თითქო ერთხელაც არ შეკეთებულაო, თუმცა სურამს საშუალება აქვსო ჯეროვანათ შეაკეთოს ხიდი, რომელსედაც მსვლელობა ამ ქამად ერთობ საშიშროა, მეტადრე ღამით. იკივე კორესპონდენტი გვატყობინებს, რომ

სურამელ ქართველობას დღემდის არა აქვს საკუთარი სკოლა, მაშინ როცა ორას მოსახლე სამეხთ კარგა ხანია გაუმართავთ თავიანთთვის პირველ-დასაწყისი სასწავლებელი. ალოცი-ვილს სურამს ხიდის შეკეთება და სკოლის დაარსება ვერ მოუხერხებია და ქალაქობას კი ეძიებს.

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ამ უკანასკნელ დღეებში შუთისის სატუსალოდამ გაქცეულია ტუსალი შლადიმიერ მაჭავარიანი ხუთი ამხანაგებითურთ. მაზრის უფროსებს უკვე მიუღიათ ტელეგრამა ტუსალების გაქცევის და მათ დაკავების შესახებ, თუ რომელიმე მაზრაში აღმოჩნდნენ ისინი.

ბათუმის რკინის გზის ლანჩხუთის სტანციიდან გვწერენ, ვითომც იქაურს სტანციიზე სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ბრკოლდებოდეს საქონლის გაგზავნა და მიღება. როგორც იწერებინან, ხანდისხან საქონელი ორო-ორ კვირაობით სძევს სტანციიზე და ამით, რასაკვირველია, საქონელი ფუჭდება და მის პატრონებს დიდი ზარალი ეძლევა. ამ გარემოებას დამოკიდებულება აქვსო ნათესავურს კავშირთან და განწყობილებასთან, რომლებიც არსებობენ სტანციის უფროსის და საქონლის მიმღების და ამწონის შორის.

ბათუმიდან გვატყობინებს ერთი ჩვენი კორესპონდენტი თაგანი, რომ ბათუმის ოლქის უფროსს, ბ. სტეფანოვს შემოუვლია აქარა, რომელიც, ოლქის გაუქმების შემდეგ, განაწილეს ორ უჩასტკად და შემოუერთეს ბათუმის ოლქს. როგორც სჩანს კორესპონდენტის სიტყვებიდან, ბ. სტეფანოვს სიამოვნებაში გაუტარება თავისი აღმინისტრაციული მოგზაურობა; ყოველგან, სადაც მიბრძანებულა ბ. სტეფანოვი, მას უმართავდნენ ნადიმობას და იქვე მისი სადილისთვის მცხოვრებნი და მხლებელი იჭრდნენ ხელით მდინარეებში ჭრელ-ჭრელ კალმახებსა. ასე და ამ გვარად უმოგზაურია ბ. უფროსს თავის სამმართველოში და ჩვენ ჩვენის მხრით ვსურვებთ მისთვის მრავალ ამ გვარ სიამოვნებას. ძარგი მოხერხება საჭიროა, რომ კაცმა აღმინისტრაციული მოგზაურობა დროს გასატარებელ სეირნობათ გადააქციოს.

ჩვენ მივიღეთ ყურნალი ქართული ბიბლიოთეკა, № V, მისი. შინაარსი: I ტერეზას დღიურები, ნათარგმნი ანასტ. ბაქრაძისაგან. II არა, არ არის დანაშაული, რომანი მტტი პარსისა, ნათარგმნი ანა მესხისა (შემდეგი). III აკლამები, მოთხრობა მკვენია ტურისა (შემდეგი)

ნათ. ან. და მკ. ნიკოლაძის ქალე-ბისა.

«დროების» კორესპონდენცია.

მ. თელავი, 30 ივლის. შუშინ, 29 ივლისს, მოვიდა ტელეგრამა, რომელმაც გვაცნობა, მთავარ-მმართველის თ. დანდუკოვ-ძორსაკოვის მომხანება 30-ს ივლისს, ნაშუადღევს 2 საათზე.

ტელეგრამის მოსვლისთანავე ქალაქის წარმომადგენელნი ჩინოვნიკებითურთ შეიკრიბნენ მაზრის სამმართველოში იმის მოსალაპარაკებლად, თუ როგორ დაუხდნენ პრინციპები დესტინიკებით დაუცურდნენ ქუჩების დასაწმენდად. მარტო ეხლა მოაგონდათ. მთელი თელავი ისეთ კორიან ტელში შეიმოსა, რომ კაცს გავლის სახსარი აღარა ჰქონდა. რასაკვირველია, უფრო ბევრი ჰგავეს თვალ-საჩინო ქუჩები, მაგრამ მიწაში ჩამკვდარი უსუფთაობა მაინც ისე ვერ გაჰგავეს, რომ აღამიანს არ შეეტყუა: ეს მარტო ზვალისთვის სუფთავდებაო.

ბათუნდა 30-ი ივლისი. მაზარი სულ მთლად დიკეტა. ამქრები გაციდნენ შემოსავალთან, სადაც ბიორადებით და ყვავილებით იყო გაკეთებული შემოსავალი კარები. შესრულდა ორი საათი. მთავარ-მმართველი არსად მოჩანდა. მთხ საათზე ცხენების თქაფა-თქუფით მოვიდა მაზრის უფროსი, რომელმაც შეატყობინა ხალხს მთავარ-მმართველის მოახლოვება. ხალხში შეიქნა მოძრაობა, ყველა ჩქარობდა საჩინო აღვილი დაეჭირა. შემოსავლის ქუჩის ორივე პირი გივისა ხალხით. შუასთან ახლო-მახლო სახლის ბაღკონებზე ნემსის კუნწი არ ჩაგარდებოდა. მომხანდა მთავარ-მმართველი. შემოსავალში ჩამომხანდა კარებიდამ და ქალაქის წარმომადგენელთაგან მიიღო პურ-მარილი. აქვე მოახსენეს გომბორის გზის საჭიროება. მან აღუთქვა მათ მომავალ საფუხურისთვის უქველად იქნება მზათაო და პირველად იმ გზით თვითონ-მე მოვალ თელავში. ამერთამ ბძინოს.

ჩამხანდა ისევე ვარეტაში. ხალხი და ამქრები გამოჰქეა უკან ზურნით. მაზრის უფროსის სახლის ეზოში დახედნ თვალ-აზნაურობა და სოფლის მამასახლისობა, რომელთაც მიართვეს პურ-მარილი, საღამოს შეიდა საათზე მთავარ-მმართველი წამხანდა თელავის კლუბში, სადაც იყო მათთვის ქალაქისაგან მომხანდებული სადილი. დასდნ თუ არა სადილზე, ცისკენ გაექანა რამდენიმე მუშუნა და მთელი კლუბის არე-მარე, ბულვარი და სახლები განათდნ ფარნებით და ჩირაღდნებით რამდენიმე ალგას უკრავდნ ზურნა. ბულვარს მლიერ ბევრი ხალხი მოაწყდა.

თორმეტ სათამდე ხალხი არ დაშლილა.

სადილოზე სხვათა შორის გაემეორებინათ თხოვნა ზომბორის გზაზე და ამასთან ერთდერთა შუამავლობა მთავრობასთან, რომ თელავში გაიხსნას საეკო პროცესი, მაღალი ამისთვის ჰპირდება სასახლე ალავს და 1,000 მან. შენობისათვის.

აღუთქვა შუამდგომლობა მთავარ-მმართველმა და იმედო მისცა. სადილო გაკრძალა ექვს საათს, ღამის პირველ სათამდე.

შეორე დღეს მთავარ-მმართველმა დაიარა ეკლესიები. სობორში მოისმინა წიგნის შემდეგ წაბძანდა ყაზარმაში, დაათვალიერა სალდათები. თორმეტ სათამდე წაბძანდა ქვარცილიკენ. მასუქან გაიღოს ლაგოდენში, ზაქათალაში და შემდეგ დაბრუნდება თბილისში.

რუსეთი

სახლთა განათლების მინისტრის ამ ცრტა ხანში მოუხდენია განხორციელება, რომ სამინისტროს სახალხო სკოლებში საეკლესიო-სლავიანური ენა, სსკა საგნებთან შორის, უთუთთ ასწავლონ. გაზეთების სიტყვით ეს განხორციელება გამოუწვევია ამ გარემოებას, რომ უმეტესს ნაწილს ხალხისას არ ესმის, რას კითხულობენ ეკლესიებში და ამით უნდა შესწავლონ ეს ენა იმდენად მაინც, რომ საღმრთო საეკლესიო წიგნების გაგება შეეძლოს.

სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუხრახნავს გაკვასაში დაარსოს საჩქო მკურნეობის სკოლა და ამ კითხვის განხილვას უკვე შესდგომია.

ერთს გამოხეილს რუსის ექიმის ამ დღეებში წარუდგენია სასახლო განათლების მინისტრისთვის ფრად საყურადღებო მოხსენება, რომელშიც ამტკიცებს, რომ უსათუოდ საჭიროა საზოგადოთ ბავშვების სკოლებში აღსდაში და განსაკუთრებით სასწავლო პროგრამების შედგენაში ექიმები მონაწილეობას იღებდნენ. მოსწავლე უმაწვილებში სშირად კვლავთ ტენის ავად-მყოფობას, სერსემდლის სიმრუდეს და სსკა ამ გვარს ავად-მყოფობებს, და ეს იმისი დოდიკური შედეგია, რომ შევირდებს უფრო ბევრს სასწავლებელს საქმეს აძლევენ, ვიდრე შეუძლიანთ. ამ საქმეების განწყობის დროს უურადლებში არ იღებენ არც კანის ბუნებას და არც იმ შირობებს, რომლებშიაღ შეიძლება სსკულის ხორმალური შრდაო. ეს გარკვევა არის მიზნი ბეცობისა, სიგამხდრისა, სიყვითლისა, გუჭის ავად-მყოფობისა, სიჭლექისა, სსკულის უთანასწორობისა, თავის მოკლეისა და სსკა ამ გვარი ავად-მყოფობისა, რომელნიც თან-და-თან უფრო და უფრო ხშირდება მსწავლეებში.

გაზეთებში იწერებინ, რომ უწმინდეს სინოდს ამ უკანასკნელს დროს შეუკრებია ცნობები იმაზე, თუ თუთუ უფს მონასტერში რამდენი ბერია, რამდენი სამადლოდ შესანახავი, რამდენი სამადლო, საჭელო და სასწავლებლო დაწესებულება, რამდენი ხარჯი უნდა ბუბის შესანახავად და სსკა სამადლო საქმეებსად, რამდენი შემოსავალი აქვს თავის ქონებისგან, რამდენი თანხა და სპეციალური საშუალება აქვს მას და სს.

სამჯარო მსინატრიაში გამოანგარიშებულია, რომ ამ უამ პეტრობურღში 4000 კაცადეა ჭკუასად შეიძლება; ამითგანი რამ შესაძელი სამადლო შენახვას საჭიროებს და ერთი შესაძელი ნათესავების მხრუნეულობაში იმყოფება.

გაზ. «Русский Курьер»-ს გაუგონია, რომ მმართველობას განზრახვა აქვს დაადგინოს გადაჭრილი ტაქსა ჯვარის საწერისაო, რომ ამით სამუდამოდ მოსხვას ის გაჭრობა, რომელიც ჯვარის-წერის წინად სდება მღვდლებს და მქმარწინებს შუაო.

გაზ. «Вирж. Вѣдом»-ი იწერება, რომ გაზეთი «Голосъ»-ის გამოცემა სსკის ხელში გადადის. რადუნაც დროებით შეჩერების ვადა გაუვა, ეს გაზეთი ისეუ გამოვა ბ. მიენის რედაქტორობით. წინანდელი გამომცემელი გრეკსვი და რედაქტორი ბილბასკვი სამიზღვარ გარეთ მიდიან საქმიმოთაო.

ამ უამად რუსეთში მოქმედებს სპეციალური კომისია, რომელიც შესდგება იუსტიციის, შინაგან საქმეთა, ფინანსთა და გზათა მინისტრების წარმომადგენლებისაგან. ამ კომისიას მინდობლი აქვს შეიმუშავოს ის კითხვა—თუ რანაირს უსუხის გუბაში უნდა იყუნენ ქაბრივის, ზავოდის და სამრეწველო ქარხანების შატრონები მუშების დამანჯრებისა და სიკვდილისათვის. ამ კომისიას ამ დღეებში გაუთავება თავის საქმე და შეიძლება პროექტი შეუმუშავება: ქაბრივის და სსკა ქარხანების შეშატრონები (ვინც უნდა იყუნენ ისინი: ხანისა, საზოგადობრი, თუ კერძო შირები + სულ ერთად) მოვალენი არან დასასაწყრონ თვითუდი მუშაობისგან მკვლელო, დამანახუბული და სსკა გვარად რითმე დაზიანებული შირი, თუ უბედურება მოხდა ერთ-ერთ შეიძებ მიზეზებისგან: ა) თუ მშინებს, რომლებითაც მუშაობენ, რამე ნაკლებუკანება აქვს და ისე არ არის მომართული, როგორც რიგია; თუ ამ მშინებს გაფუჭებული და გასაკუთებული რამა აქვსთ, თუ რთქლის ქება გასკად და სსკა ამ გვარი მიზეზები რამ შეკითხვა; ბ) თუ უბედურება მოხდა იმ მოსამსახურე შირების დაუდევნელობის გამო, რომელთაც მუშაობის ზედამხედველობა აქვსთ მინდობლი, და თუ მუშაობის წარმოება იმისთანა შირობებშია დაყენებული, რომელნიც კანონით ვერმადუნია არან; და გ) თუ მრეწველობის ქარხანებზედ ისეთი სამუშაობაა, რომელნიც უამრთუდობისთვის მავნებულნი არან და ისეთს

შირობებში, რომელთაც შეუძლიანთ დაზადონ საშიში ავად-მყოფობები, მაშინ შატრონი შასუსს აკებს ამ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ავად-მყოფობა წარმოსდგა ცუდი სანიტარული და ჭიგენური შირობებისგან და შესაძლო იყო ამ შირობების თავიადმ აცილება. იმის შესახებ—თუ როგორ და რით უნდა დასასაწყრდეს დაზიანებული, კომისიის შეიძები წესები დაუდგენია: თუ დაზიანებული მოკვდა, მაშინ იმათ, ვინც იმისი შესანახნი იყუნენ, უნდა მიეკეთ მთლად ის ხარჯი, რაც იმის წამლობასე და დამარხვასე მოუვიდათ და ისიც, რაც ზარალი დაერთათ იმის ავად-მყოფობის დროს და სიკვდილის გამო. მის ქარვის, უნდა ეძლიოს 5% იმის წლიურის უამაგირისა (თუ შეორედ არ გათხოვდა და თუ გათხოვდა, მაშინ მოკვდა ეს პენსია), მცირე წლოვანს შეიღებს ორივე სქესისას, თუ ან დედა, ან დედის ნაცვალი ჭყვით, ვიდრემდის 15 წლისა შეიქმნებოდნენ, უნდა ეძლიათ 16 2/8% და თუ დედა არა ჭყვით 16% ეს პენსიები სულ ერთად აღებული არ უნდა აღმატებოდეს 70%-ს მის წლიურის უამაგირისას. თუ მუშა ისე დაზიანდა, რომ მუშაობას ვეღარ შეიძლებს ან დროებით ან სამუდამოდ, მაშინ ამას უნდა მიეცეს უველა ის ხარჯი, რაც ამ დაზიანებისგან მიეცა და რაც წამლობასედ მოუნდა, და თუ ამ გვარად დაზიანებული რამდენიმე ხნის შემდეგ მოკვდა, მაშინ იმის სასლობას მიეცება: თუ მუშაობა სრულად აღარ შეეძლო, იმის მთელი წლიური უამაგირი, და თუ უფრო ნაკლებათ იყო დაზიანებული, 25%-დამ 75%-მდინ.

უხეოთი

ამ უამად ბერმანის და პესტრის გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ ბალკანის პატარა სამთავროების ხელმწიფების მოგზავრობაზედ, რომელნიც ბერლინის ტრაქტატის ძალით დამოუკიდებელნი შეიქმნენ. მართლდაც, ფრიად საყურადღებოა ამ მეფეების მოძრაობა. ჰერ გაემგზავრა ბერლინისკენ ბოლგარიის მეფე და რამწამს ეს უკან დაბრუნდა თავის სამფლობელოში, მაშინვე სერბის მეფემ დაიწყო სამხადისი ბერმანაში წასახლეულად, და იმ დროს, როდესაც რუმინის მეფე წავიდა ბერლინში, ჩერნოგორიის მთავარი ნიკოლოზი გაემგზავრა ბრწყინვალე პორტისკენ, «მართლ-მორწმუნეთა მფლობელის» საზახავად. რას ნიშნავს ესეთი არაჩვეულებრივი მოძრაობა ამ ხელმწიფებისა? მაზეთები ამ გარემოებას დიდს პოლიტიკურს მნიშვნელობას აწერენ და ჰფიქრობენ, რომ დიდმა სახელმწიფოებმა კიდევ რალაც განიზრახნს შესახებ შერობის აღმოსოფლეთისა, ჩვეულებრივი პოლიტიკური თამაში დანიწყეს და ყველა მათგანი სტინლობს თავისკენ მიიზხროს ამ მხარის მფლობელები. მანსაკუთრებით ბერლინის, მენის და პეშტის გაზეთები აღგანან ამ აზრს და ათას ნაირი დასკვნა

ნა გამოჰყავთ აქედამ. ბერმანის იმპერატორმა მილჩელომ შიბახტენე შეჩერმანის ჯარების დიდს მანქანებზედ დასასწრებლად სერბის მეფე და ამ შემთხვევამ დიდს ალტაცებაში მოიყვანა ბელგრადის სასახლე, რომელიც ხედავს მასში «ნორჩი სამეფოს» ბერმანისათან შეკავშირებას. იმპერატორმა მილჩელომა არც რუმინის მეფე დასტოვა უყურადღებოდ და ახალდაბადებული მყოზადი იმპერატორის და მეფის, პრუსიის პრინცი მილჩელომის შეილის ნათლიად მიიწვია. ამასთანავე, უეჭველია, რუმინის მეფე ბევრს კვიანურს რჩევას მიიღებდა ბერლინში შესახებ პესტრის უკეთ მოპყრობისა, რომ მეფე ძარლი თანისის მინისტრით ბრატანოთი ბერლინიდამ პირ-და-პირ მენაში გაემგზავრა და ეხლა, როგორც მენიადმ გუშინ მოსულმა ტელეგრამამ გვაცნობა, იმპერატორი შრანც-ნოსები დიდს ამბით დახვდა მას და თავის სასახლეში დღესასწაულებრივი სადილიც გაუმართა. პესტრის მმართველების ორგანები აქამდინ სულ იმას ლაპარაკობდენ, რომ რუმინის მფლობელი მენას ერიდებოდა და ეხლა კი, უეჭველია, გულს დაიმშვიდებენ და ამას აღარ დააყვედრებენ, რადგანაც მეფე ძარლი ეხლა ეენაშია ყველა ზემო ნათქვამიად ზოგიერთს გაზეთებს ის დასკვნაც გამოჰყავთ, რომ ღუნაის საქმე, რომელზედაც ამ უამად კონჭერენ ციაა ლონდონში, მალე და მშვიდობიანად დაბოლოვდება. მაზეთები არც იმ გარემოებას სტოვებენ უყურადღებოდ, რომ მაშინ, როდესაც ბერლინი და მენა ასე ზდილობიანად, თავიზიანად ეპყრობიან რუმინისა და სერბისა, ჩერნოგორიის მთავარი მიდის სტამბოლში, თავის დაუძინებელს მტერთან, და მას თავის პატივისცემას უტახადებს. პესტრია და ბერმანია თითქო ცდილობენ დაიკავშირონ ორი ხსენებული პატარა სამფლობელო და ჩერნოგორია კი თითქო შორდება თავის მოძმეებს და სთხოვს სულთანსა, ძველი მტრობა დაევიწყოს და შევერთდეთ ერთადო. თუ ეს შეერთება, ეს კავშირი მოხდა, უეჭველია, ის იქმნება მიმართული პესტრის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელმაც ბერმანის დანმარებით დიდი გავლენა მიიპოვა ბალკანის ნახევარ კუნძულზე და, ღამის, მთლად ხელში იგდოს. დიდი ევზირი საიდ-ფაშა სულ იმას ურჩევს თავის ხელმწიფეს ბალკანის მეფეებს დაუხლოვდი და სსკა სახელმწიფოებს შემთხვევას ნუ მისცემ მენს საქმეებში ჩაერინენო; ეხლა სჩანს, რომ იმის პოლიტიკასაც გაუმარჯენია, რადგანაც ერთი იმ მეფეთაგანი უკვე დაიპალოვა სულთანმა. ზოგის გაზეთების ფიქრით მთავარს ნიკოლოზს ამ გვარი მოქმედება პეტრობურლიდამა აქვს ნაბძანებო და მართლდაც ეს ასე უნდა იყოს, რადგანაც მთავარი ნიკოლოზი ყოველთვის და ყველაფერში მოქმედობს რუსეთის თანახმად და მისი სურვილისა მებრ. ძალიან შესაძლებელია, რომ რუსეთი ხელს

უმართავდეს ჩერნოგორიის და მს. მალეთს კავშირს, რომელიც, როგორც წვეთი ვსთქვით, იქნება მართული აქტივის და მის ბალკანზე გაუღების წინააღმდეგ, თუმცა ამ აზრს აქტივის ოფიციალური განხილვის არ ეთანხმება და ამბობს, რომ ამ საქმეში რუსეთი სრულყოფილ არ რევირა.

— იმ აჯანყების თაობაზე, რომელიც ამას წინაშე მსაპანიაში მოხდა, გაზეთებში იწერებოდა, რომ მსაპანიის მმართველობამ იხმარა ყველა თავისი მეცადინეობა, რომ ეს აჯანყება დასაწყისშივე მოესპო, მაგრამ აჯანყებულები მალე შეზინდნ და თითონვე აქაიქ დაიფანტნ. ძატლონიის გენერალ-კაპიტანმა მინც საჭიროდ დაინახა საომარი მდგომარეობა და ჯარები ჩააყენა იმ ადგილებში, სადაც უფრო მოელოდა აჯანყებას. მსაპანიის მეფეს ეშინოდა, რომ ეს შემთხვევა შერობის ნდობას დამიკარგავს, მაგრამ ეს შიში უსაფუძლო გამოდგა, რადგანაც მალე შეიტყო, რომ პორტუგალიის მმართველობამ იარაღი აპყარა ბადახოსის მემამოხეთა და ამასთანავე, როგორც გაზეთები გვატყობინებენ, ყველა სახელმწიფოს მმართველობას თავისი თანაგრძობა გამოუცხადებია მისთვის. საფრანგეთის მინისტრებს ბძანება მიუცრათ სამზღვარზე დაყენებულ მოქლეებისთვის თვალ-ყური ადევნონ პარენის გადმოსავალს და თუ ვინმე მსაპანიამ ლტოლვილი ნახონ, დაასახლონ ციხეებში. ამ განკარგულებით საფრანგეთის მმართველობამ დამტკიცა, რომ ის ხმები ტყუილია—უთომც საფრანგეთის რესპუბლიკელები ჩუმად ეხმარებოდნ მსაპანიის რესპუბლიკელების მოთავეს, რუიცა-ზორილიას და მის პარტიას. ზორილია საფრანგეთში, ქვემო პირენის დეპარტამენტში იმყოფება და ხმები, რომ ის იქ კიდევ ბევრს ხანს დარჩება; ამის გამო მსაპანიის მმართველობას განზრანვა აქვს კიდევ სთხოვას შოაქრის იმის იქილამ განდევნა.

— მსმალეთილამ იწერებინ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს უცნობებია სტამბოლში მყოფი ბოლგარის აგენტისთვის, რომ ამას იქით მისი მიწერ-მოწერა მტომანის მმართველობასთან უთუოდ თათრულს ენაზედ უნდა წარმოებდეს და თუ წრანტუხულს ენაზე იქნება, პორტა აღარ მიიღებს. ბოლგარის აგენტს უარი განუცხადებია ამ წინადადების აღსრულებაზედ.

განცხადება

ი. ა. გელიძე-გაბულიაროვის გარძო რეალურ სასწავლებელში (თბილისი, ბარონის ქუჩა, სახლი № 10) დამატებითი და მისაღები ეგზამენები დაიწყება 23 აგვისტოს, სწავლა კი

1 სექტემბერს. სასწავლებელში ოთხი ნორმალური კლასია, აგრეთვე მოსამზადებელი კლასი და კლასიკური განყოფილება. მოწაფენი მიიღებიან პანსიონერებათ, ნახევარ პანსიონერებათ და თავისუფალ მოსიარულლებათ. (10—7)

ა. მიჩაშვილის

რეპეტიციის და მოსამზადებელი კლასები

აცხადებენ, რომ მიღება მოწაფეებისა იწყება 22 აგვისტოდამ და სწავლა პირველს სექტემბრიდამ. ადრესი: ბრიგოლ სოლომონის-ძის აბესალომის სახლებში, მბმჩესტენის ქუჩაზედ, ეგზარხის მოედანის მახლობლად. (20—3)


ინგლისის ბალახი

Maison de confiance

შუადართო ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაის
1 მ. 10 კ.	1 მ. 40 კ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2—
— — 1—80	— — 2—50
საუკეთესო	2— „ — — 3—

იქვე ისუიდება სხვა საქონელიც: თოფები, რეკლავები, გრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, ღანები, გოვზები, ტაშტები, კაღები, ქაღალდი, შოკოლადი, გაკაო, კანფეტები, მურაბები, მაკუნია, უნაგირები, გლეონგა, წინდები—გაცის და ქაღის, ხელ-სახოციები, მაკინტოშის კალენკორი—სულ უკვლავური 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში. (100—22)

ინგლისური ჩაინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბაღახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისუიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, ღან-ჩანგალი, გოვზები, ფანდნები, კლიტები, საფანგები, რეინის კაღები, ქაღალდი, ნიშები, რეკლავები, თოფები, გაცისა და ქაღის უნაგირები, ალბომები, კალენკორი, ჩაი 1-ღის ხარისხისა. (100—100)

სტამბა

მკითხვე იმ, ხელაძისა.

თბილისში, ლორის-მელქიშვიის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს უოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ქურნალებს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთვე უოველ-გვარ ბლანკებს სროტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ.

სტამბა კისრელობს კორრექტურის გასწორებას და ბროშურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომტემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ. Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе. (100—12)

ინგლისის მაღაზიაში

თინს-აოოაჟანი

გაპ-განსტარი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფეის აძლევს, ფასი ერთი შუში-სა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—27)



საგლობუსო კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთავ ქაღალდი. ერთად-ერთი საჯერტო—ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებული სხვა-და-სხვა გვარის კალმები, უოველის „ხელისათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანკურტები, რეკლავები, ღაქი, კარანდაში, მენალი, კაღები, ბუმაყინიგები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სახთელი, საღესი, ცანაშეები ჭურჭლების საწმედად (ბორაგის), თეთრეულისათვის, მატარა საღესი, იატაკისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, საკეები, სავარცხლები, ბეშმენნი, საბეები, ბინოკლები რეკლავები, გატერპასები, შინის-ხანათები, გომპასები, ტერმომეტრები, მუწკები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, საბრტელები. საუელური, პრობები, სპრობები, კრანები, ჭილტრები, შროტკი, თავის. ტანისამოსის, ცხენის და მატენტისანი მაკინტოშები, გრაკები, საუქამო ქაღალდი გატერ-კლორეტისათვის და სხვ. და სხვ. პატაშკი—20 კ. (100—68)

მაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 16 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე 1883 წ.

- გამომცხვარი ზური რუკეთის ფქვილისა — 1 გორ. 5 კ.
- აჭურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — 1 გ. 3 კ.
- მეორისა — 1 გ. 2 1/2 კ.
- იმავე ფქვილ. თორნუმი გამომცხვარი: პირველის ხარისხისა — 1 გ. 5 კ.
- მეორისა — 1 გ. 3 1/2 კ.
- მესამისა — 1 გ. 3 კ.

- ჯვარის-მამის ზური: პირველის ხარის. ღავაში 1 გ. 5 კ.
- მეორის ხარის. ღავაში 1 გ. 3 1/2 კ.
- მესამისა — 1 გ. 3 კ.
- ძროხის ხორცი: პირველის ხარისხისა — 1 გ. 8 კ.
- მეორისა — 1 გ. 7 კ.
- სუკი — 1 გ. 15 კ.
- ცხვრის ხორცი — 1 გ. 7 კ.

რეინის გზა

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით. თბილისიდან ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან. თბილისიდან ბაქოსკენ 11 საათზედ და 11 წამ. ღამისა. ბაქოდგან თბილისისკენ 10 საათზედ და 23 წამ. დილისა. ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან. ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან. ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილისა. ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა. ფოთიდან ბათუმიდამ მომავალი თბილისში შექოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა. ბაქოდამ მომავალი შექოდის თბილისში 7 საათ. და 49 წამ. დილისა.